სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში

I - ბიუჯეტირება

1. ბიუჯეტის მართვის სრულყოფა

1.1 წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: 2015 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის არსებულ მოთხოვნებს და მოიცავს ანგარიშგებას მიღწეული შედეგების მიხედვით. დანერგილია აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებულ დასკვნებზე რეაგირების მექანიზმები.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში წარედგინა მთავრობას მიმდინარე წლის 30 მარტს. წლიურ ანგარიშთან ერთად „საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №144 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად გაგზავნილ იქნა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N2836 განკარგულებით დამტკიცებული) შესრულების ანგარიში.

„საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №144 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 სექტემბრის N1823 განკარგულებით დამტკიცდა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმა“.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 საშუალო-ვადიანი დაგეგმვა (MTEF)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია 2017-2020 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი და 2017-2020 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები მომზადებულია და წარდგენილი საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს; მიღებული გამოცდილების საფუძველზე დამტკიცებულია ხარჯთაღრიცხვის მომზადების ინსტრუქცია. სამინისტროების სამოქმედო გეგმები შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას; საშუალოვადიანი გეგმები შეესაბამება ორგანული კანონით განსაზღვრულ ფისკალური პოლიტიკის პარამეტრებს; საქართველოს სამინისტროების მიერ დამტკიცებულია საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც შეესაბამება ქვეყნის საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას და რომლებიც მოიცავს შესაბამის ხარჯთაღრიცხვებს და შეესაბამება ხარჯთაღრიცხვის მომზადების ინსტრუქციას.

პერიოდი: თებერვალი-დეკემბერი

პროგრესი: მომზადებულია 2016-2019 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ადგილობრივი ბიუჯეტების ძირითადი მიმართულებების შესახებ და განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

მომზადდა „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და დამტკიცდა 2016 წლის 26 თებერვლის N104 დადგენილებით.

შემუშავებულია დანართების ფორმები, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით ეტაპობრივად წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. მათ შორის, სამინისტროებისთვის წარმოდგენილია 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის განახლებული დანართი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების შესაბამისად განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების შესახებ: აღწერა და მიზანი, მოსალოდნელ შუალედური და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები (საბაზისო მაჩვენებელი, მიზნობრივი მაჩვენებელი წლების მიხედვით, განმახორციელებელი, შესაძლო რისკები, ცდომილების ალბათობა, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, პროგრამა/ქვეპროგრამა/ღონისძიება წარმოადგენს არსებული პოლიტიკის გაგრძელებას თუ ახალი პოლიტიკის ნაწილს). ამასთან, თითოეული პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიებისთვის წარმოდგენილია დაფინანსება წყაროების მიხედვით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტით და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებულ პარამეტრებს. ამასთან, დადგენილების შესაბამისად პილოტმა სამინისტროებმა (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, განათლებისა და მეცნიერების და ფინანსთა სამინისტროები) 2016 წლის სამოქმედო გეგმა უნდა მოამზადონ და წარადგინონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განახლებული ფორმატით.

პროგრამული ბიუჯეტის განახლებული მეთოდოლოგიით შემოთავაზებულია სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესის წარმართვა სამუშაო ჯგუფების ფორმატში, მათ შორის, ევროკავშირის საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში (PFM III) შემფასებელი მისიის მიერ გაცემულ იქნა რეკომენდაცია, სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესში მაღალი რგოლის მენეჯმენტის ჩართვის და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ყველა სამინისტროში სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე. დადგენილების თანახმად, სამუშაო ჯგუფს უხელმძღვანელებს მინისტრი, ხოლო სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში იქნებიან შესაბამისი მიმართულების პოლიტიკის განმსაზღვრელი

დეპარტამენტების უფროსები/წარმომადგენლები, საქვეუწყებო და სხვა კონტროლს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები/წარმომადგენლები. სამინისტროს გადაწყვეტილებით სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა შესაძლებელია ეთხოვოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის თანამშრომელს.

მიმდინარე წლის 28-31 მარტს გაიმართა შეხვედრები სამინისტროებთან აღნიშნული პროცესის სწორად წარმართვის მიზნით მიმდინარე წელს განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე განხილულ იქნა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების ძირითადი ასპექტები და აღნიშნული დოკუმენტის მომზადების პროცესი.

მიმდინარე წლის 14-17 ივნისს გაიმართა შეხვედრები სამინისტროებთან, განხილულ იქნა მათ მიერ მომზადებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების პირველადი ვერსიები, სამოქმედო გეგმების მომზადებასთან დაკავშირებული სირთულეები და არსებული გამოწვევები. გაიცა რეკომენდაციები აღნიშნული გეგმების დამტკიცებამდე შესაბამის ცვლილებებთან დაკავშირებით.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად სამინისტროების მიერ მიმდინარე წლის 30 ივნისამდე დამტკიცდა გადამუშავებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები პროგრამული ბიუჯეტის მომზადების განახლებული მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად.

მომზადდა 2017-2020 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტი და „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან (პირველი წარდგენა) ერთად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად წარედგინა საქართველოს მთავრობას მიმდინარე წლის 23 სექტემბრის N04-02/92745 წერილით.

2016 წლის ბოლომდე სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები, რომელთაც თან ახლავს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები, შესაბამისობაში იქნა მოყვანილი 2017 წლის წლიური ბიუჯეტის კანონთან და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმეტთან (BDD).

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.3 წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი და საქართველოს პარლამენტში წარდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში; კანონპროექტი შესაბამისობაშია საშუალოვადიანი გეგმების და კანონმდებლობით განსაზღვრულ ფისკალურ პარამეტრებთან; საბიუჯეტო პაკეტი შეესაბამება პროგრამული ბიუჯეტის დადგენილ სტანდარტებს.

პერიოდი: ივლისი-დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მომზადდა და მიმდინარე წლის 15 სექტემბრის N04-02/88567 წერილით საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარდგენილ იქნა საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრები.

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი (პირველი წარდგენა) თანდართულ მასალებთან ერთად წარედგინა საქართველოს მთავრობას მიმდინარე წლის 23 სექტემბრის N04-02/92745 წერილით საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად.

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად კანონმდებლობით დადგენილი წესით 2016 წლის 29 ნოემბრის N04-02/131395 წერილით წარდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტში.

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2016 წლის 14 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ (№64-Iს, 23.12.2016).

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.4 პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: პროგრამული ბიუჯეტის შედგენის განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე მხარჯავი დაწესებულებების მიერ მომზადებული პროგრამული ბიუჯეტები დახვეწილია. მხარჯავი დაწესებულებები იყენებენ პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიას და ხარჯთაღრიცხვის ინსტრუქციას წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადებისას.

პერიოდი: იანვარი-სექტემბერი

პროგრესი: საბიუჯეტო პროცესის უფრო სრულყოფილად წარმართვის, პროგრამული ბიუჯეტირების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა დონორებთან, დაგეგმილია შეხვედრები/სემინარები საბიუჯეტო პროცესის თითოეულ ეტაპზე პროცესში ჩართულ მხარეებთან.

მიმდინარე წლის 28-31 მარტს სამინისტროებთან შეხვედრების დროს განხილული იყო განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე პროგრამული ბიუჯეტის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები და ძირითადი გამოწვევები. აღნიშნული თავის მხრივ დაკავშირებულია საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადებასთან.

მიმდინარე წლის 15 მარტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ჰოლანდიის ფინანსებისა და ეკონომიკის ეროვნული აკადემიის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ერთდღიანი სემინარი თემაზე „საბიუჯეტო პროცესში მხარჯავი დაწესებულებების როლის გაძლიერება“. სემინარს ესწრებოდა ყველა სამინისტროს წარმომადგენელი და სემინარზე განხილულ იქნა საქართველოს საბიუჯეტო პროცესი, ჰოლანდიელმა ექსპერტებმა გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება საბიუჯეტო პროცესთან, ანგარიშვალდებულებასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. განხილული იქნა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში მიმდინარე რეფორმები.

მიმდინარე წლის 17 სექტემბერს გაიმართა შეხვედრა სამინისტროების 2017-2020 წლების პროგრამული ბიუჯეტის განსახილველად. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტები, რომლებიც დახმარებას უწევენ სამინისტროებს პროგრამული ბიუჯეტის დახვეწაში, ასევე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (მათ შორის, შესაბამისი სამინისტროების კურატორები) და სხვა სამინისტროების წარმომადგენლები. განხილული იქნა არსებული გამოწვევები, გაიცა რეკომენდაციები პროგრამული ბიუჯეტის შემდგომი დახვეწის მიზნით, ყველა მხარის წარმომადგენლის მხრიდან მომავალში აღნიშნული პროცესის სწორი კოორდინაციისა და წარმართვისათვის.

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართი შეესაბამება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიას.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.5 კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების შერჩევის და განხორციელების მექანიზმების ჩამოყალიბება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების შერჩევის, დაგეგმვისა და განხორციელების მეთოდოლოგია და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვების მომზადების ინსტრუქციები. განხორციელდება აღნიშნული მეთოდოლოგიის პილოტირება.

პერიოდი: იანვარი-სექტემბერი

პროგრესი: მომზადდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და დამტკიდა საქართველოს მთავრობის მიერ მიმდინარე წლის 22 აპრილის №191 დადგენილებით.

შემუშავდა და დამტკიცდა საინვესტიციო პროექტების მართვის დეტალური მეთოდოლოგია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიმდინარე წლის 22 ივლისის N165 ბრძანებით და გახდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის ნაწილი.

შემუშავებულია მეთოდოლოგიითა და გზამკვლევით გათვალისწინებული დებულებების ამსახველი საპრეზენტაციო მასალები, მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებულ იქნა იმ პროექტების საორიენტაციო ჩამონათვალი, რომელთა მიმართებაშიც განხორციელდება მეთოდოლოგიის პილოტირება.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.6 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების სრულყოფილად მოქცევა საქართველოს საბიუჯეტო სისტემით გათვალისწინებულ რეგულაციებში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: ბიუჯეტების აღსრულება და შესრულების ანგარიშგება ხორციელდება ერთიანი სტანდარტით, შემოსულობის ნებისმიერი წყაროდან მიღებული სახსრებით განხორციელებული ოპერაციებისას.

პერიოდი: იანვარი-სექტემბერი

პროგრესი: 2016 წლის 1 იანვრიდან ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სსიპ-ების და ა(ა)იპ-ის ბიუჯეტების აღსრულება და შესრულების ანგარიშგება ხორციელდება ერთიანი სტანდარტით.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.7 საჯარო ფინანსების მართვის (ელექტრონული) სისტემის (PFMS) ბიუჯეტის მართვის მოდულის გამართული ფუნქციონირება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, მუნიციპალიტეტები, სსიპ-ები/ა(ა)იპ-ები)

შესრულების მაჩვენებელი: ბიუჯეტის მართვის მოდულის ყველა ფუნქციონალი მუშაობს გამართულად და საბიუჯეტო პროცესში სრულად გამოიყენება E-Budget.

პერიოდი: იანვარი-სექტემბერი

პროგრესი: ბიუჯეტის მართვის მოდულის ყველა ფუნქციონალი მუშაობს გამართულად და საბიუჯეტო პროცესში სრულად გამოიყენება E-Budget სისტემა.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.8 საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებულია საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების მექანიზმები; განხორციელებულია ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებები; 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საბიუჯეტო პროცესის უფრო სრულყოფილად წარმართვის მიზნით მიმდინარეობს მუშაობა დონორებთან, საზოგადოების ჩართულობის კუთხით.

მომზადდა 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების შუალედური მიმოხილვის დოკუმენტი და დანართის სახით დაემატა საქართველოს 2016 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს. აღნიშნული გააუმჯობესებს ღია ბიუჯეტის კვლევის შედეგად ქვეყნის ინდექსის მაჩვენებელს.

2017 წლის ბიუჯეტის კანონის მოქალაქის გზამკვლევი მომზადებულია და განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ქართულ და ინგლისურ ენაზე[1].

[1] http://mof.ge/images/File/gzamkvlevi/2017-biujetis-kanonis-moqalaqis-gzamkvlevi.pdf
http://mof.ge/images/File/gzamkvlevi/Citizens-Guide-2017-State-Budget-english.pdf

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.9 საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მხარდაჭერილია შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

პერიოდი: იანვარი-სექტემბერი

პროგრესი: მდგრადი ფისკალური პოლიტიკისათვის აუცილებელი და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული პარამეტრების შენარჩუნების მიზნით წლიური ბიუჯეტის კანონით და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განისაზღვრა შეზღუდვები როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალური ბიუჯეტებისათვის. „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან ერთად საქართველოს პარლამენტში წარდგენილ იქნა თანმდევი საკანონმდებლო აქტების პროექტები: საქართველოს კანონში „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მდგრადი ფისკალური პოლიტიკისათვის აუცილებელი და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული პარამეტრების შენარჩუნების მიზნით წლიური ბიუჯეტის კანონით და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განისაზღვრება შეზღუდვები როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალური ბიუჯეტებისათვის. კერძოდ:

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად - დაუშვებელია მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დაგეგმვა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიწოდებული საპროგნოზო მაჩვენებლებზე მეტი ოდენობით. ამასთან, დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლების გეგმის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის თანახმად:
- მუნიციპალიტეტებს დაევალათ გაატარონ სათანადო ღონისძიებები, რათა 2017 წლის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში (გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა) ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები (ძირითადად ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“, „საქონელი და მომსახურების“ და „სუბსიდიების“ მუხლებში) შეადგენდეს არაუმეტეს 2016 წლის (მოსალოდნელი) საკასო შესრულების მაჩვენებელის 90%-ს;
- „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დადგენილ წესში, პროექტის დაფინანსების კრიტერიუმად განისაზღვრება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზემოაღნიშნულ პარამეტრებთან შესაბამისობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, სს ან შპს *(სრულად ამოქმედდება 2018 წლიდან).*

ასევე ცვლილებები განხორციელდა საგადასახადო კოდექსში ცვლილება განხორციელდა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემოსულობების ნაწილში მისაღები საგადასახადო შემოსავლების უზრუნველყოფის, აგრეთვე საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული და სხვა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით და **„სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ“** საქართველოს კანონში სათამაშო ბიზნესის სფეროში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების ოდენობის ოპტიმიზაციის და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის მიზნით.

შენიშვნა: მიმდინარეობს

II - საგადასახადო პოლიტიკა და საბაჟო საკითხები

1. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

1.1 საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების დადების მიზნით კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება; პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმების “TIEA” და საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმების დადების მიზნით კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება; 2014 წლის დეკემბერიდან მიმდინარეობს გლობალური ფორუმის მიერ საგადასახადო საკითხებში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს იურისდიქციის შეფასების მეორე ფაზა. შეფასების მეორე ფაზა ითვალისწინებს არსებული კანონმდებლობის პრაქტიკული იმპლემენტაციის შეფასებას.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება კვიპროსთან, სამხრეთ კორეასთან და ლიხტენშტაინთან. ხელი მოეწერა საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებას; საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის დასრულებული იქნა მოლაპარაკებების მე-2 რაუნდი და მოხდა შეთანხმების ტექსტის პარაფირება; გაიმართა მოლაპარაკებები და პარაფირებული იქნა შეთანხმების განახლებული ტექსტი პოლონეთთან. ამასთან, ხელი მოეწერა კომპეტენტური ორგანოების მრავალმხრივ შეთანხმებას ქვეყნების მიხედბით ანგარიშების გაცვლის შესახებ. 2016 წლის თებერვალში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში გლობალური ფორუმის მიერ დამტკიცებული იქნა საქართველოს შეფასების მეორე ფაზის ანგარიში. მეორე ფაზის შედეგად, აღიარებულ იქნა, რომ გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში საქართველოში არსებული პრაქტიკა ფართოდ შეესაბამება (largely compliant) საერთაშორისო სტანდარტებს.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 საქართველოს საბაჟო კოდექსისა და მისგან გამომდინარე საქართველოს საკანონმდებლო აქტებში თანმდევი პროექტების მომზადება, ასევე საბაჟო კანონმდებლობასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებული საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტი; საქართველოს საბაჟო კოდექსიდან გამომდინარე შემუშავებული საკანონმდებლო აქტებში ცვლილების პროექტები; საბაჟო სფეროს მარეგულირებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებისა და მთავრობის დადგენილების შემუშავებული პროექტები.

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობდა მუშაობა საბაჟო სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტის პროექტის სრულყოფაზე ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან მისი მაღალი ჰარმონიზაციის დონის მისაღწევად

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.3 საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა და საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების აღსრულების მიზნით კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრობლემების ანალიზი, წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივების ანალიზი, არსებული ბუნდოვანი და ორაზროვანი დებულებების იდენტიფიცირება და კანონპროექტის მომზადება მათი აღმოფხვრის მიზნით, გადამხდელთა ძირითადი ვალდებულებების კანონში ასახვის მიზნით შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება.

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის სრულყოფასა და საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებების პროცესის გამარტივებას. კერძოდ, კანონის შესაბამისად ჩამოწერას დაექვემდებარა უიმედო საგადასახადო დავალიანებები (2011 წლამდე დარიცხული საგადასახადო დავალიანებების და 2013 წლამდე დარიცხული საგადასახადო სანქციების ჩამოწერა), საგადასახადო კონტროლს განახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო და სხვა მაკონტროლებელ და სამართალდამცავ ორგანოებს აეკრძალებათ პირის საქმიანობის საგადასახადო კონტროლის განხორციელება. კანონი, ასევე, ითვალისწინებს ძირითადი საშუალების იმპორტზე დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდის ვადის გადავადებას. იმპორტიორს, რომელიც ძირითად საშუალებებს იყენებს დამატებული ღირებულების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებში, არ მოუწევს იმპორტისას დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა.

შემუშავდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8401-9033 კოდებში მითითებული საქონლის ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი. აღნიშნული პროექტით განისაზღვრება იმ საქონლის ნუსხა, რომლის იმპორტის დროს გავრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 171-ე მუხლის 3[1] ნაწილით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გადახდის ვადის გადავადების მექანიზმი.

მოგების გადასახადის რეფორმის განხორციელების მიზნით საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების აღსასრულებლად მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესამუშავებლად. კერძოდ, მიმდინარეობს შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყნების ჩამონათვალის განსაზღვრის მიზნით საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის შემუშავება, ასევე შემოსავლების სამსახურთან ერთად მიმდინარეობს მოგების გადასახადის ახალი მოდელის დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების ინსტრუქციის შემუშავება.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.4 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზების სამოქმედო გეგმის შემუშავება, ევროკავშირის დირექტივების საგადასახადო კანონმდებლობასთან შედარებითი ანალიზის განხორციელება და საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტების მომზადება.

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოვების მიზნით მომზადდა და პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს კანონი, რომლის შესაბამისად:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის პირველ ნაწილში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის დროდ განისაზღვრა არაუგვიანეს საკომპენსაციო თანხის წინასწარ (ე.წ. „ავანსის“ გადახდის მომენტი) გადახდის მომენტი, თუ თანხის გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე;

- გაიზარდა აქციზის ფიქსირებული განაკვეთი ფილტრიან სიგარეტზე 20 ღერზე - 0.6 ლარით, უფილტრო სიგარეტზე 20 ღერზე - 0.3 ლარით და თამბაქოს სხვადასხვა ნაწარმზე;

შენიშვნა: მიმდინარეობს

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.5 მოგების გადასახადის რეფორმა - ზრდაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება *(ახალი)*

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების პროექტის შემუშავება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს მოგების გადასახადის რეფორმის განხორციელებას. კანონს საფუძვლად უდევს მოგების გადასახადის ეგრეთ წოდებული „ესტონური მოდელი“. აღნიშნული რეფორმის მიხედვით, მოგების გადასახადით დაბეგვრა განხორციელდება მოგების მიღების ნაცვლად მისი განაწილებისას, შესაბამისად, საწარმოები მოგების გადასახადს გადაიხდიან მხოლოდ მიღებული მოგების განაწილების შემთხვევაში. მიღებული კანონის თანახმად მოგების გადასახადით დაიბეგრება კომპანიის მიერ პარტნიორზე განაწილებული დივიდენდი, ასევე, სხვა ფორმით განაწილებული მოგება, როგორიცაა არაეკონომიკური საქმიანობისათვის გაწეული ხარჯები, ზღვრული ოდენობის ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები, უსასყიდლოდ განხორციელებული ოპერაციები და მოგების სხვა ფარული განაწილებები. მოგების გადასახადის საანგარიშო პერიოდად განისაზღვრება კალენდარული თვე და საწარმოებს, რომლებიც დაიბეგრებიან ახალი რეჟიმით, არ ექნებათ მიმდინარე (საავანსო) გადასახდელების გადახდის ვალდებულება. მოგების გადასახადის რეფორმის განხორციელება ხელს შეუწყობს ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ინვესტიციების ზრდას, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, ფინანსურ რესურსებზე კომპანიების ხელმისაწვდომობის გაზრდას, ასევე, საგადასახადო აღრიცხვისა და ადმინისტრირების გამარტივებას.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2. საგადასახადო და საბაჟო სისტემის სრულყოფა

2.1 აუდიტის პოტენციალის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: აუდიტორთა ტრეინინგების სისტემის გაძლიერება; აუდიტის დეპარტამენტის საკადრო რესურსების გაზრდა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2016 წლის მაისიდან მიმდინარეობს ტრენინგები საქართველოს ფინანსთა მინისტრის #994 და #996 ბრძანებებთან მიმართებაში. 2016 წლის ბოლოსათვის ტრეინინგი გავლილი აქვს 119 აუდიტორს, ხოლო აუდიტის დეპარტამენტში ირიცხება 367 აუდიტორი.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.2 აუდიტის ჩატარების ხანგრძლივობის შემცირება და აუდიტორის სამუშაოს გამარტივება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემოწმების პროცედურების მართვის კომპიუტერიზებული სისტემის დანერგვა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: აშშ-ის ხაზინის ტექნიკური დახმარების სამსახურის ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებულ იქნა და 2016 წელს დაინერგა საგადასახადო შემოწმების აქტის ახალი ფორმა, ასევე გამარტივდა საგადასახადო ვალდებულების გადაანგარიშების ფორმა გადამხდელის პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში; შემუშავდა გასვლითი საგადასახადო შემოწმების პროცედურების შესახებ რეგლამენტის პროექტი, რომელიც გადაგზავნილია იურიდიულ დეპარტამენტში; GIZ -ის ექსპერტის დახმარებით მიმდინარეობს მუშაობა აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავებაზე.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.3 მომსახურების სფეროების ოპტიმიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გადამხდელთა მიერ საგადასახადო ვალდებულების დროულად და სწორად შესრულება; გადამხდელთა მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადების შედარებით გამარტივებული გზით და მოკლე ვადებში დაბრუნების შესრულება; მომსახურების სტანდარტების გაუმჯობესება, მომსახურების არსებული სტანდარტების შეფასება და ნაკლოვანებების აღმოფხვრა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შემცირდა გადამხდელთათვის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ვადები და ზედმეტობის წარმოშობის მიზეზის ყველა შემთხვევისთვის იგი განისაზღვრა 1 თვით. ასევე შემცირდა ზედმეტობის დაბრუნების მიზნით წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხა. ასევე, საგადასახადო მონაცემთა ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით, ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხების ავტომატურად დაბრუნების მიზნით შემუშავებული იქნა ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნების თაობაზე წარმოდგენილი „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ ავტომატური შესწავლის პროგრამული ლოგიკა. გაუქმდა გადამხდელთა მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის სხვა გადასახადის სახეში არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ წარმოდგენის ვალდებულება და 2016 წლიდან ერთიან სახაზინო კოდზე გადასვლასთან დაკავშირებით ერთიანი პირადი აღრიცხვის ბარათის შემოღებით საგადასახადო ორგანოს მიერ ავტომატურად ხორციელდება გადამხდელთა მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის დარიცხული და აღიარებული საგადასახადო დავალიანების დასაფარავად მიმართვა. „ღია კარის დღის“ ფორმატში შეხვედრები გაიმართა გადმხდელებთან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომლის მიზანი იყო მათთვის საგადასახადო სიახლეების, უპირველეს ყოვლის კი მოგების გადასახადის ახალი მოდელის, გაცნობა.

შენიშვნა: დასრულებულია

2.4 ნებაყოფლობითი კანონმორჩილების წახალისება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გადამხდელთა კულტურისა და ნებაყოფლობითი დეკლარირებისა და გადახდევინების ამაღლების ფარგლებში საგადასახადო რისკების ანალიზის დარგობრივ ჭრილში გადაყვანა, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა და სათანადო კვლევების განხორციელება; გადამხდელთა

ინფორმირების მიზნით ფლაერებისა და ჟურნალების მომზადება; შემოსავლების სამსახურის სარეკლამო რგოლების მომზადება და პიარკამპანია.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: გადამხდელთა კულტურისა და ნებაყოფლობითი დეკლარირების/გადახდევინების ამაღლების ფარგლებში, IMF-ის რეკომენდაციით მიმდინარეობს საინფორმაციო ელექტრონული ბაზის შემუშავება. ამასთან, შედგენილია და ვადებში დეტალურად გაწერილია გადამხდელთა სხვადასხვა სეგმენტის მიმართ გასატარებელი ღონისძიებები; ეტაპობრივად იმართება შეხვედრები IMF-ის ექსპერტებთან და მათთან ერთად ხდება შესრულებული სამუშაოების შეფასება და ახალი რეკომენდაციების მიღება/გათვალისწინება; მიმდინარეობს მუშაობა პროგრამაზე, რომლის საშუალებითაც მოხდება საგადასახადო რისკების ანალიზის დარგობრივ ჭრილში გადაყვანა.

შენიშვნა: დასრულებულია

2.5 ვაჭრობის ხელშეწყობის ინსტრუმენტებისა და საბაჟო, სანიტარიული, ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის აღსრულების გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: „საქონლით ვაჭრობის ფორმალობების გამარტივების შესახებ“ და „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ კონვენციებთან მიერთება; საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობა, ტექნიკის შეძენა; მცენარეული სურსათის უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის დანერგვა და განხორციელება; ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის პროცედურული სახემძღვანელოების შემუშავება; ფიტოსანიტარი და ვეტერინარი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შესაბამისი ტრენინგები; ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ინსტიტუტის დანერგვასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; უფლებამოსილი ექსპორტიორის ინსტიტუტის დანერგვასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: კონვენციების ტექსტის განხილვის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ევროკავშირის ექსპერტებთან შეხვედრების ორგანიზების მიზნით, ასევე მიმდინარეობს ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხების შემუშავება და გადაწყვეტა ევროკომისიისა და ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნების ექსპერტების დახმარებით; მიმდინარე წლის 14-15 სექტემბერს FRONTEX-ის ორგანიზებით ქ. კიშინიოვში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა. მოცემულ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ასევე აზერბაიჯანის, მოლდოვის, უკრაინის, მაკედონიისა და სერბეთის წარმომადგენლებმა. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო მიმდინარე პროგრესის წარდგენა (ინფორმაცია სამუშაო ჯგუფების, საგზაო რუკის, სამოქმედო გეგმის, საკანონმდებლო და ანალიტიკური სამუშაოს და კერძო სექტორთან ურთიერთობის შესახებ) და რეკომენდაციების მიღება ექსპერტებისგან. მიმდინარე წლის 19 სექტემბერს ქ. ბრიუსელში ჩატარდა ევროკავშირისა და EFTA ქვეყნების ერთობლივი სამუშაო ჯგუფის 164-ე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა საერთო ტრანზიტის კონვენციის და საქონლით ვაჭრობის ფორმალობების გამარტივების კონვენციის შესახებ, სადაც საქართველომ წარადგინა ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ. 2016 წლის 29 ნოემბერს, ბელგიაში გაიმართა ევროკავშირი-საქართველოს პროექტ-

ჯგუფის შეხვედრა საბაჟო თანამშრომლობის სტრატეგიული ჩარჩო პროგრამის ფარგლებში, სადაც ერთ-ერთი საკითხი შეეხებოდა ტრანზიტის საერთო კონვენციასთან მიერთებას. სამუშაო ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ პროექტის შემდგომი წარმატებული იმპლემენტაციისთვის საჭიროა დაძმობისლების პროექტის განხორციელება, რისთვისაც პროექტის მოთხოვნა უნდა წარადგინოს ქართულმა მხარემ და თანხმობის შემთხვევაში მისი იმპლიმენტაცია უნდა დაიწყოს 2017 წლის ბოლო კვარტლიდან. „ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამის“ (CIB) ფარგლებში საბაჟო გამშვები პუნქტებისათვის მოხდა ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლისათვის აუცილებელი აღჭურვილობის ძირითადი ნაწილის შეძენა. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ერთობლივი მართვის საპილოტე პროექტის „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული გამშვები პუნქტი „წითელი ხიდის“ განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში (UNDP) „წითელი ხიდის“ მიმდებარედ გამოიყო ტერიტორია ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი შენობების აგების მიზნით. დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ერთობლივი მართვის საპილოტე პროექტ „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული გამშვები პუნქტი „წითელი ხიდის“ ფარგლებში შედგა 8 სამუშაო შეხვედრა. შეფასების მისიით მოწვეული ევროკავშირის ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა ვეტერინარული და ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურები, ხოლო სასწავლო ვიზიტებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობდა სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს 15 თანამშრომელი. 2016 წლის განმავლობაში ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის თემასთან დაკავშირებით გამოცდილების მისაღებად შეხვედრები გაიმართა ლიტვაში, უკრაინასა და სლოვაკეთში. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის დანერგვის მიზნით მომზადდა ფინანსთა მინისტრის #290 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შესატანი ცვლილებების პროექტი. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის #420 დადგენილებაში („საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“) განხორციელებული ცვლილებების მიხედვით დაინერგა „უფლებამოსილი ექსპორტიორის ინსტიტუტი“.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.6 ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ინფორმაციის გაცვლის არეალის გაფართოება; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გლობალ ფორუმის მეორე ფაზის წარმატებით გავლა; საქართველოს კანონმდებლობის და დღგ-ის ევროპული დირექტივების ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა ასოცირების შეთანხმების შესაბამისად.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შეთანხმება გაფორმდა ბაჰამის თანამეგობრობის მთავრობასთან ინფორმაციის გაცვლის შესახებ; ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში გაცვლის სისტემის ფარგლებში ა.შ.შ -სა და საქართველოს შემოსავლების სამსახურებს შორის ხელი მოეწერა კომპეტენტურ ორგანოთა შეთანხმების ტექსტს, ფატკას იმპლემენტირების მიზნით. ავტომატურ რეჟიმში გაფორმებული მემორანდუმებიდან გამომდინარე ინფორმაცია გაეგზავნა ლიტვას, ლატვიას და ნიდერლანდებს; საქართველოს კანონმდებლობისა და დღგ-ის ევროპული დირექტივის (2006 წლის 28 ნოემბრის საბჭოს 2006/112/EC დირექტივის (დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ)

საერთო სისტემის შესახებ)) დაახლოვების პროცესის ფარგლებში მიმდინარეობს განხილვები დამატებული ღირებულების გადასახადის საკითხებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით. ასევე მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებების მოსამზადებლად შემოსავლების სამსახურში შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. PwC-ისთან ბრიტანეთის მთავრობის დაფინანსებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები მომსახურების გაწევის ადგილთან დაკავშირებით გავლენის შეფასების ანალიზის მოსამზადებლად; საქართველოს კანონმდებლობის 2011 წლის 21 ივნისის საბჭოს 2011/64/EU დირექტივასთან (წარმოებული თამბაქოს აქციზის გადასახადის სტრუქტურისა და განაკვეთების შესახებ) დაახლოვების მიზნით 2016 წლის 1-ლი იანვრიდან ძალაში შევიდა საგადასახადო კოდექსში ცვლილება და თამბაქოზე (ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე) გაიზარდა აქციზის გადასახადის, როგორც ფიქსირებული ასევე ადვალური განაკვეთი. გრძელდება მუშაობა განაკვეთის გაზრდასთან დაკავშირებით შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებით, კერძოდ რეგიონალური კონტექსტის შესაბამისად; 1986 წლის 17 ნოემბრის საბჭოს მეცამეტე დირექტივასთან (დღგ-ის უკან დაბრუნება) 86/560/EEC საქართველოს კანონმდებლობის დაახლოვების ფარგლებში GIZ-ის მოწვეული ექსპერტის მიერ შემუშავდა საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილების და ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის განხილვაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამინისტროს სისტემაში და ივარაუდება, რომ პროექტის საბოლოო ვარიანტი შემუშავებული იქნება 2017 წლის თებერვლის ბოლოსთვის.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.7 ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის დაწყება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: დამტკიცდა შემოსავლების სამსახურის საქმიანობის ერთიანი პოლიტიკის დანერგვისა და მისი აღსრულების ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით შემუშავებული შემოსავლების სამსამხურის სტრატეგია.

შენიშვნა: დასრულებულია

2.8 სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის გამართვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: USAID ფინანსური მხარდაჭერით, ადამიანური რესურსების, ორგანიზაციული და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაუჯობესების მიზნით 2016 წელს დაიწყო პროექტი, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი არის ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი. აღნიშნული მიზნით დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომპანიის (GEC) მიერ გაკეთდა შემოსავლების სამსახურის ფუნქციური ანალიზი და

მომზადდა ანგარიში, რომელშიც გაწერილი მათ შორის რეკომენდაციები. აღნიშნული ანგარიში განსახილველად გაეგზავნა შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობას შემდგომი შენიშვნებისა და კომენტარებისთვის.

შენიშვნა: მიმდინარეობს

III - მაკროეკონომიკური პროგნოზირება და ანალიზი

1. **მაკროეკონომიკური პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება**

1.1 მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გაუმჯობესებული პროგნოზი, მაკროეკონომიკური ანალიზით მიღებული შედეგების გაცნობა (რეგულარული განხილვების სისტემის დანერგვა).

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გაიზარდა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების არეალი.

სისტემატურად მიმდინარეობს საწარმოთა დეკლარირებული ბრუნვების ყოველთვიური კალენდარული კორექტირებული მონაცემების ანალიზი, დღგ-ს მონაცემთა ბაზის მიხედვით. აღნიშნული მონაცემები გამოიყენება მაკროეკონომიკური ანალიზისათვის.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 ეკონომიკური აქტივობის ახალი ანალიტიკური მაჩვენებლების შესწავლა ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ეკონომიკური აქტივობის ანალიტიკური პროდუქტების გაფართოება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა ყოველთვიური დღგ-ს ბრუნვების და მათი კალენდარული კორექტირებული მონაცემების ანალიზი.

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 ეკონომიკური მდგომარეობის პერიოდული ანალიზი და გავრცელება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული პერიოდული ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დეპარტამენტში ყოველთვიურად მზადდება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე თავსდება ანალიტიკური და ინფორმაციული მასალა ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების და სტაბილურობის ამსახველი მაჩვენებლების შესახებ.
მომზადდა 2016 წლის იანვარ - დეკემბრის ინფორმაცია, რომელიც მოიცავს თემებს:
1.მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები (მშპ-ს დინამიკა, ფასები, ლარის გაცვლითი კურსი, უმუშევრობის დონე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საგარეო ვაჭრობა, მიმდინარე ანგარიშის ანალიზი, საკრედიტო რეიტინგი, ეკონომიკური ზრდა, ბიზნეს სექტორის ბრუნვა და პროდუქციის გამოშვება);
2. საქართველო და მეზობელი ქვეყნები;
3. ეკონომიკური აქტივობის ანალიზი დარგობრივ ჭრილში;
4. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზი და სხვა.
ქვეყნის მიმდინარე ეკონომიკური განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარე გადაიხედა და ხელახლა შეფასდა ფისკალური მულტიპლიკატორი;
2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით მომზადდა პრეზენტაცია - „საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა“;

შენიშვნა: დასრულებულია

1.4 ფისკალური პოლიტიკის პერიოდული ანალიზი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: კვარტალური დეფიციტის მონიტორინგი, სტრუქტურული დეფიციტის შესწავლა, სტრუქტურული დეფიციტის მეთოდოლოგია, ბიუჯეტის ყოველთვიური დეფიციტის მონიტორინგი.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავებული სტრუქტურული დეფიციტის მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაანგარიშებულ იქნა პირველი, მეორე და მესამე კვარტლის დეფიციტი, გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების გამოყენებით, 2016 წლის დეფიციტის დაანგარიშება განხორციელდება ოფიციალური მონაცემების მიღების შემდეგ.

შენიშვნა: დასრულებულია

1.5 მოწყვლადობის დიაგნოსტიკა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მეთოდოლოგიის მოძიება და შესწავლა

შენიშვნა: მიმდინარეობს

2. **შემოსავლების პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება**

2.1 ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გაუმჯობესებული პროგნოზი, ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება და მისი გამოყენება, შემოსავლებისათვის ელასტიურობის კოეფიციენტების შესწავლა, აქციზური საქონლის ელასტიურობის კოეფიციენტის შესწავლა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა ანალიზი გადამხდელების მიერ ბიუჯეტში გადახდილი ცალკეული გადასახადების გათვალიწინებით (დარგებისა და სამართლებრივი ფორმის მიხედვით), მიმდინარეობდა მუშაობა დღგ-ს ბაზის ანალიზზე, ეკონომიკაში ხელფასების დინამიკის ანალიზზე, ასევე შემოსავლების პროგნოზების ახალი მეთოდების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლაზე.

დაანგარიშებულ იქნა დღგ-ს ელასტიურობის კოეფიციენტი.

გაუმჯობესებული პროგნოზის გამოყენებით, მომზადდა „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების და „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტებისათვის საშემოსავლო და მაკროეკონომიკური ნაწილები;

გაანგარიშებულ იქნა საგადასახადო პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების საგადასახადო შემოსავლებზე გავლენა;

შენიშვნა: დასრულებულია

2.2 საგადასახადო სისტემის შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გადასახადების გეფი-ს შეფასების, საგადასახადო დანახარჯების, საგადასახადო შესაბამისობის (tax compliance) ანალიზის, საერთაშორისო მეთოდოლოგიების და გამოცდილების შესწავლა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მეთოდოლოგიის მოძიება და შესწავლა

შენიშვნა: მიმდინარე პერიოდისთვის საგადასახადო სისტემის შეფასებაზე შემოსავლების სამსახურში მუშაობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია. საკითხის შეფასება გაგრძელდება 2017 წელსაც.

2.3 დარიცხული გადასახადების შესახებ ინფორმაციის მიღება, დამუშავება და ანალიზი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მონაცემების გამოყენება ანალიტიკური და პროგნოზის მიზნებისათვის.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გადასახადების აღრიცხვის ახალ სისტემაზე გადასვლით, გადასახადების მონაცემთა ბაზის შედეგები განსხვავებულია ჩარიცხვის და დეკლარირების პერიოდის მიხედვით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგადასახადო შემოსავლების მონაცემების შედარება და დაკვირვება.

შენიშვნა: დასრულებულია

3. ფისკალური რისკების გამოვლენა და შეფასება

3.1 მაკროეკონომიკური რისკების შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის დახვეწა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შეფასდა მაკროეკონომიკური რისკები და გამოვლენილ იქნა შესაძლო დადებითი თუ უარყოფითი ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, რის საფუძველზეც შემუშავდა მაკროეკონომიკური განვითარების სამი სცენარი: საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური. საბაზისო სცენარის საფუძველზე მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენა. პესიმისტური სცენარი შექმნილია ეკონომიკური განვითარების შეფერხების, ხოლო ოპტიმისტური სცენარი შექმნილია ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შემთხვევისათვის.

მომზაადდა მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის დოკუმენტი, რომელიც დაერთო „საქართელოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონს.

გადაიხედა წინა დოკუმენტში იდენტიფიცირებული რისკები და გაკეთდა შესაბამისი ანალიზი.

შენიშვნა: დასრულებულია

3.2 საწარმოთა პირობითი ვალდებულებების შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო საწარმოთა პირობითი ვალდებულებების რეესტრის შექმნა, მათგან მომდინარე ფისკალური რისკების შეფასება, სახელმწიფო საწარმოებიდან მონაცემების მიღების სისტემის/კითხვარის დახვეწა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო საწარმოებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე, დამუშავდა ინფორმაცია სახელმწიფო საწარმოების პირობითი ვალდებულებების თაობაზე. ამასთან, აღნიშნულ მონაცემებს დაემატა მუნიციპალიტეტების განკარგულებაში არსებული რიგი საწარმოების მონაცემები, რისი დამუშავებაც და სრულყოფაც მიმდინარეობს.

საერთაშარისო ექსპერტების შეფასებისა და ანალიტიკური დოკუმენტის გაუმჯობესებისათვის გამიზნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, რიგი უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან მოთხოვნილ იქნა

აუდირებული სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენა ფინანსური ანგარიშგების თაობაზე, რომელმაც მოიცვა საწარმოთა საქმიანობის 5 წლიანი პერიოდი, ფინანსური მაჩვენებლების უფრო ფართო სპექტრი და მათი პირობითი ვალდებულებები.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გაკეთდა ფისკალური რისკებისათვის მნიშვნელოვან საწარმოთა სია და სახელმწიფო საწარმოთა ანალიზი, რომელმაც მოიცვა ცალკეული მსხვილი კომპანიების დეტალური ფინანსური მაჩვენებლები, მათი ფინანსური მდგრადობისა და პოტენციური ფისკალური რისკების ასახვის მიზნით.

მომზადდა ფისკალური რისკების შეფასების დოკუმენტი, რომელიც დაერთო „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონს. აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით.

შენიშვნა: დასრულებულია

3.3 სოციალურ ვალდებულებებთან დაკავშირებული რისკების შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: არსებული საპენსიო და ჯანდაცვის სისტემის შეფასება, მოსახლეობის დაბერების პროცესის გავლენა აღნიშნულ სოციალურ ვალდებულებებზე.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: საპენსიო რეფორმის ფარგლებში შემუშავებულია დემოგრაფიული და ფინანსური მოდელი.

შენიშვნა: მიმდინარეობს

IV - სახელმწიფო ვალის მართვა

1. სახელმწიფო ვალის მართვის გაუმჯობესება

1. 1 სახელმწიფო ვალის მართვაში ანალიტიკური ნაწილის გაძლიერება (middle office)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის განახლება; სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზის მომზადება და სახელმწიფო ვალის მართვის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის, გამოცდილების და არსებული ტენდენციების დანერგვა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მოცემულ პერიოდში განხორციელდა სახელმწიფო ვალის მართვის ანალიტიკური ნაწილის გაძლიერება, შედეგად:

1. განახლებულია სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის პროექტი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

2. 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტს დაერთო მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი 2017 -24 წლებისათვის;

3. მიმდინარეობდა სახელმწიფო ვალის სფეროში გამოცდილების გაზიარება და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა, კერძოდ, მოწვეულ იქნენ რუმინეთის ფინანსთა სამინისტროს ექსპერტები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების გამოცდილების გასაზიარებლად; შედგა სასწავლო ვიზიტი სლოვაკეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში, სახაზინო სამსახურსა და ვალის მართვის სააგენტოში სახელმწიფო ვალის მართვასთან დაკავშირებით სლოვაკეთის რესპუბლიკის გამოცდილების და არსებული მდგომარეობის გაცნობის მიზნით; განხორციელდა ცვლილება „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონში, რომელმაც გააფართოვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების მიზნობრიობა; ხორციელდებოდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიების გამსხვილება სხვადასხვა აუქციონებზე ე.წ. „რეოფენინგების“ საშუალებით, რაც მომავალში benchmark bond -ების გამოშვების წინაპირობას წარმოადგენს; შედგა და რეგულარული სახე მიიღო ბაზრის მონაწილეებთან პირდაპირი კომუნიკაცია.

შენიშვნა: მიმდინარეობს

V - აღრიცხვა და ანგარიშგება

1. დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა

1.1 ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციაში IPSAS (IPSAS 13, IPSAS 19, IPSAS 22, IPSAS 23, IPSAS 24) სტანდარტების მოთხოვნების ასახვის შესახებ საბიუჯეტო სექტორის ბუღალტრების ინფორმირება, სასწავლო პროგრამების მომზადება და გადამზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრები 2016 წლიდან აღრიცხვაში იყენებენ IPSAS 13, IPSAS 19, IPSAS 22, IPSAS 23, IPSAS 24-ის ნორმებს.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: სახაზინო სამსახურის მიერ მომზადდა ტრენინგ-მასალები IPSAS სტანდარტებში (IPSAS 13, IPSAS 19, IPSAS 22, IPSAS 23, IPSAS 24). 2016 წლის ნოემბრიდან დეკემბრის ჩათვლით ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით აღნიშნული სტანდარტებში გადამზადდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 400-მდე ბუღალტერი.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 IPSAS-ის დარჩენილი სტანდარტების ზოგადი ანალიტიკა, ტრენინგები და დანერგვის შემდგომი დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებულია IPSAS-ის დანერგვის შემდგომი სამოქმედო გეგმა 2017-2020; დატრენინგებულია ხაზინის თანამშრომლები IPSAS-ში.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობისა და ზოგადად, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, უცხოელი ექსპერტის მიერ მომზადდა IPSAS დეტალური სამოქმედო გეგმა (2017-2020), რითიც განისაზღვრა თითოეული სტანდარტის დანერგვის პერიოდულობა წლების მიხედვით. ამავე პროექტის ფარგლებში, IPSAS სტანდარტებში ჩატარდა ტრენინგები როგორც მხარჯავი დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის, ასევე, სახაზინო სამსახურის ანგარიშგების და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის.

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 IPSAS-ის დანერგვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტების ანალიტიკა და მათი მოთხოვნების ასახვა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებულია ცვლილებების პროექტი, რომელიც ასახავს IPSAS-ის შერჩეული სტანდარტების მოთხოვნებს.

პერიოდი: ივნისი-დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს 2017 წლიდან დასანერგი სტანდარტების (IPSAS 1, IPSAS 5, IPSAS 9, IPSAS 14, IPSAS 16, IPSAS 36 და IPSAS 37) შესწავლა და ანალიზი არსებულ სააღრიცხვო სისტემასთან მიმართებით. ანალიზის შედეგად მომზადდება ინსტრუქციაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც ამოქმედდება 2017 წლის 1 აპრილიდან.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის განვითარება

2.1 ხაზინის მთავარ წიგნში ბუღალტრული გატარებების ინტეგრაცია ხაზინის სისტემის სხვადასხვა მოდულებიდან

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ხაზინის მთავარი წიგნი შეიცავს ინფორმაციას ბიუჯეტიდან განხორციელებული სხვადასხვა ტიპის გადახდების შესახებ.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის ბაზაზე ამოქმედდა გადასახადების ერთიანი სახაზინო კოდი. ხაზინის მთავარ წიგნში დეკლარირებული გადასახადების დარიცხვის მოდულზე მიმდინარეობს მუშაობა. ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხორციელდება აღნიშნული მოდულის დახვეწა და მორგება. გარდა ამისა, საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან ერთად, მიმდინარეობს პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ხაზინის მთავარ წიგნში დარიცხვის მეთოდის შესაბამისად შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის ბიზნეს პროცესების ანალიტიკა.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.2 სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში პრეტენდენტი ორგანიზაციების მიერ გადახდილ სატენდერო თანხებზე შესყიდვების მონაცემთა ბაზებთან ვებ-სერვისის გამართვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: პრეტენდენტები სატენდერო თანხებს იხდიან ხაზინის სისტემის მეშვეობით.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შესყიდვების სააგენტოსა და ხაზინის სისტემას შორის საინტეგრაციო სერვისის გაფართოება ხორციელდება სამი მიმართულებით:

1. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში პრეტენდენტი ორგანიზაციების მიერ გადახდილ სატენდერო თანხებზე შესყიდვების მონაცემთა ბაზებთან ვებ სერვისის გამართვა, რისთვისაც შემუშავებულ იქნა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და გაშვებულ იქნა სატესტო რეჟიმში. აღნიშნული ფუნქციონალის რეალურ რეჟიმში ამოქმედება შესყიდვების სააგენტოს მიერ იგეგმება წლის ბოლომდე.
2. ხელშეკრულებების სტატუსების განახლება შესყიდვების ბაზიდან ხაზინის სისტემაში;
3. შესყიდვების გეგმის საერთო ჯამის ვალიდაცია ასიგნებებთან.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.3 ხაზინის ერთიან ანგარიშზე საბიუჯეტო ორგანიზაციების შემოსულობების მართვის მოდულის შეფასება/ანალიტიკა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების შემოსულობების მართვის ბიზნეს პროცესების ანალიტიკა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან ერთად, მიმდინარეობს პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ხაზინის მთავარ წიგნში შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვისათვის შესაბამისი ბიზნეს პროცესების ანალიტიკა.

შენიშვნა: მიმდინარეობს

3. ფულადი სახსრების მართვის მექანიზმების ჩამოყალიბება და სტრატეგიის პროექტის მომზადება

3.1 სახაზინო სამსახურის მიერ ფულის მართვის მექანიზმების და ინსტრუმენტების შემუშავება და სტრატეგიის პროექტის მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებულია ფულადი სახსრების მართვის სტრატეგიის პროექტი.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფულადი სახსრების ეფექტური პროგნოზირებისა და მართვის მიზნებისათვის, ფულის მართვის მექანიზმების და ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით, სახაზინო სამსახურს ეწვია უცხოელი ექსპერტებით დაკომპლექტებული ტექნიკური მისია. აღნიშნულმა მისიამ მოამზადა სტრატეგიის პროექტის სამუშაო ვერსია, რომელშიც განხილულია არსებული სიტუაცია, საუკეთესო პრაქტიკა ფულადი სახსრების მართვისა და პროგნოზირების კუთხით, ინვესტირების განხორციელების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები, ფინანსური ინსტრუმენტები, რისკების მართვის სტრუქტურა და ა.შ. სტრატეგიის პროექტის სამუშაო ვერსიის საფუძველზე მომზადდა ნორმატიული აქტის პროექტი, რომლის დამტკიცება იგეგმება 2017 წელს.

ფულის მართვის მოდულის ანალიტიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მიზნით, მომზადდა პროგრამული უზრუნველყოფის მოთხოვნებისა და მახასიათებლების სამუშაო დოკუმენტი, რომლშიც აღწერილია ფულადი სახსრების ფინანსურ ინსტრუმენტებში განთავსებისათვის საჭირო პროცესისა და პროგრამული უზრუნველყოფის დეტალები. ამასთან, მიმდინარეობს სათანადო საკანონმდებლო აქტ(ებ)ის მომზადება/დამუშავება, რომლითაც უნდა განისაზღვროს თავისუფალი ფულადი სახსრების, რისკების, ბანკების, ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმები.

შენიშვნა: დასრულებულია

3.2 ფულადი სახსრების მართვის დეპარტამენტის თანამშრომელთა დატრენინგება ფინანსური ბაზრების საკითხებზე

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გადამზადებულია ფულადი სახსრების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადების მიზნით, მოწვეულმა ექსპერტმა ჩაატარა ტრეინინგი ფულადი სახსრების მართვის საკითხებზე. განხილულ თემებს შორის იყო სახაზინო სამსახურების რეფორმირება განვითარებად ქვეყნებში, ბიუჯეტირების, ანგარიშსწორებისა და ანგარიშგებების ინფრასტრუქტურული საკითხები, ფულადი სახსრების პროგნოზირებისა

და მონიტორინგის მოდელები, მათი მართვის პროცედურები. ტრეინინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პრაქტიკულ სავარჯიშოებსა და მონაწილეთა ცალკეულ ჯგუფებში მუშაობას. აპრილის თვეში ჩატარდა ტრეინინგის მეორე ეტაპი, რომლის დროსაც განხილულ იქნა ფულადი სახსრების ეფექტურად მართვისათვის საჭირო კონკრეტული მოდელები და ინსტრუმენტები. გარდა ამისა, მაისის თვეში კომპანია ბლუმბერგის წარმომადგენლებმა ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებს გააცნეს სისტემის ფუნქციონალური მხარე და ფინანსურ ინსტრუმენტებში თანხების განთავსების სპეციფიკა.

შენიშვნა: დასრულებულია

VI - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა

1. სახელმწიფო შიდა კონტროლის განვითარება

1.1 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების დაგეგმვა, შეფასება და ცნობადობის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტორლის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; 2. ჩატარებული კონფერენცია.

პერიოდი: მარტი - ივლისი

პროგრესი: მომზადდა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგია და 3 წლიანი სამოქმედო გეგმა. შენიშვნებისთვის გადაეგზავნა OECD/SIGMA-ს ექსპერტებს, რომელთაც წარმოადგინეს კომენტარები, რომელიც გათვალისწინებულ იქნება სტრატეგიის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისას. მოხდა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შეთანხმება ყველა დაინტერესებულ მხარესთან. გადაგზავნილია მთავრობაზე დასამტკიცებლად. დამტკიცდება უახლოეს მთავრობის სხდომაზე.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების ირგვლივ ყოველწლიური კონფერენცია განხორციელდა 14 დეკემბერს. კონფერენციას ესწრებოდნენ შიდა აუდიტისა და საფინანსო სამსახურების/დეპარტამენტების წარმომადგენლები. წლევანდელი კონფერენცია რეგიონული იყო, ვინაიდან ესწრებოდნენ სომხეთის წარმომდგენლები, რომლებმაც ასევე გაგვაცნეს საკუთარი გამოცდილება სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ. კონფერენციაზე წარმოდგენილ პრეზენტაციებს შორის იყო OECD/SIGMA-ს ეხსპერტების მიერ გაკეთებული შეფასება ფინანსური მართვისა და კონტროლის კუთხით, ასევე დამოუკიდებელი ეხსპერტის გამოცდილება ეფექტიანობის აუდიტის კუთხით და სახელმწიფო აუდიტის აუდიტის სამსახურის წარმომადგენლის გამოხდილების გაზიარება.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. მთავრობის მიერ დამტკიცებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია; 2. შემუშავებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მეორე ეტაპის: მენეჯერული კონტორლის ჩამოყალიბების ინსტრუქცია; 3. რვა სამინისტროში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ინსტრუქციის შესაბამისად დანერგვის ხელშეწყობის ფარგლებში შემუშავებული ანგარიშები.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: OECD/SIGMA-ს ექსპერტების დახმარებითა და ჰარმონიზაციის ცენტრის ჩართულობით შემუშავებული ინსტრუქციის შესაბამისად, 4 პილოტურ სამინისტროში დაინერგა ფინანსური მართვისა და კონტროლის პირველი ეტაპი, ხოლო, ყოველთვიური და ყოველკვარტალური გეგმების ნიმუშები გადაეგზავნა საფინანსო სამსახურებს/დეპარტამენტებს.

აპრილის ბოლოს განისაზღვრა დამატებით 4 პილოტური სამინისტრო, რომლებიც შეუერთდნენ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების პროცესს. აღსანიშნავია, რომ ყველა სამინისტრომ გამოთქვა მზადყოფნა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მიამართულებით. დაინტერესებულ სამინისტროებს, ჰარმონიზაციის ცენტრის თანამშრომლების მიერ ჩაუტარდათ გაცნობით პრეზენტაციები. დამატებით 4 სამინისტროდ განისაზღვრა: თავდაცვის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მაისის თვის მეორე ნახევარში, OECD/SIGMA-ს ექსპერტების მორიგი ვიზიტის ფარგლებში, დაიწყო მენეჯერული კონტორლის ჩამოყალიბების ინსტრუქციაზე მუშაობა და გაიმართა სამუშაო შეხვედრები სამინისტროების წარმომადგენლებთან. ინსტრუქციის პროექტი შემუშავებულია და ჩაშვებულია პრაქტიკაში გამოსაცდელად.

ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროს აკადემიის წარმომადგენლების მონაწილეობით და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით, მიმდინარე წლის მაისისა და დეკემბრის თვეში ფინანსური მართვისა და კონტროლის საპილოტე სამინისტროების საფინანსო/ეკონომიური დეპარტამენტის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა 2 2-2-დღიანი ტრენინგი თემაზე: „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა საჯარო სექტორში“.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის დახმარებით 20-24 ივნისს ჰარმონიზაციის ცენტრის თანამშრომლებმა და 2 პილოტური სამინისტროს წარმომადგენლებმა გაიარეს ტრენინგი ფინანსურ მართვასა და კონტროლში ქალაქ ლუბლიანაში.

ივლისში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მეორე ეტაპის მონაწილე პილოტური სამინისტროების საფინანსო/ეკონომიკური სამსახურებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: „რისკის მართვა“. ტრენინგს უძღვებოდნენ OECD/SIGMA-ს ექსპერტები.

სექტემბერში მორიგი ვიზიტით იმყოფებოდნენ OECD/SIGMA-ს ექსპერტები, შეხვდენენ მეორე ეტაპზე გადასულ პილოტურ სამინისტროებს, შეაფასეს შესრულებული სამუშაო და ასევე ნოემბრის ბოლომდე გასატარებელ ღონისზიებათა შესახებ შეთანხმდნენ.

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია კომენტარებისათვის გადაეგზავნა OECD/SIGMA-ს, ჩასწორებული ვარიანტის შეთანხმება მოხდა ყველა დაინტერესებულ მხარესთან, გადაგზავნილია მთავრობაზე დასამტკიცებლად.

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 შიდა აუდიტის საქმიანობის განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. დამტკიცებული შიდა აუდიტის მეთოდოლოგია და სისტემური აუდიტის სახელმძღვანელო; 2. გაძლიერებული შიდა აუდიტორთა კვალიფიკაცია შემუშავებული ტრეინინგების მიწოდების გეგმისა და განხორციელებული ტრენინგების საშუალებით; 3. შიდა აუდიტორთა პრაქტიკული გამოცდილების ამაღლება სულ მცირე 1 ფინანსური ან შესაბამისობის პილოტური აუდიტის და 4 ეფექტიანობის ან სისტემური პილოტური აუდიტის განხორციელების მეშვეობით; 4. შემუშავებული შიდა აუდიტის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შიდა აუდიტის მეთოდოლოგია და სისტემური აუდიტის სახელმძღვანელო დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 26 დეკემბრის N593 და N592 დადგენილებებით. ასევე ძალადაკარგულად გამოცხადდა აქამდე არსებული შიდა აუდიტის მეთოდოლოგია და სახელმძღვანელო პრინციპები შიდა აუდიტორთათვის, რომლებიც არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.

შიდა აუდიტორთა გადამზადების ხორციელდება შემუშავებული პროგრამის მიხედვით, რომელიც შეთანხმებულია როგორც დონორებთან, ასევე ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან, რომელიც მუდმივი და საიმედო პარტნიორია ჰარმონიზაციის ცენტრის. წელს ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის დახმარებით უკვე განხორციელდა:

3 სისტემური აუდიტის ტრენინგი 25-25 შიდა აუდიტორისათვის (მათ შორის ერთი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების შიდა აუდიტორებისათვის, ბათუმში);

2 ტრენინგი შიდა აუდიტის საფუძვლებში 20-20 შიდა აუდიტორისათვის;

2 ეფექტიანობის აუდიტის ტრენინგი პილოტურ პროექტებში ჩართული სამინისტროებისათვის;

1 ეფექტიანობის ტრენინგი 25 შიდა აუდიტორისათვის;

1 რეგიონული ტრენინგი, სომხების მონაწილეობით შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის ირგვლივ, სულ 12 ქართველი შიდა აუდიტორისათვის.

სექტემბერში შიდა აუდიტორებისათვის ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში, ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში გაიმართა ტრენინგი 4 თემის ირგვლივ: რისკის მართვის აუდიტი, ხარჯების აუდიტი, ინფორმაციული სისტემების აუდიტი და ბიზნესის უწყვეტობა.

მარტის ბოლოს დასრულდა 2 პილოტური ეფექტიანობის აუდიტორული შემოწმება და ერთი ფინანსური აუდიტორული შემოწმება, რომელიც ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში Louis Berger-ის დახმარებით განხორციელდა. დამატებით, მიმდინარე წლის 20-24 ივნისს, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში Louis Berger-ის დახმარებით 6 პილოტურ სამინისტროს, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გარემოს დაცვის სამინისტროს, რეგიონალური

განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტორებს საერთაშორისო ექსპერტის მიერ ჩაუტარდათ ეფექტიანობის აუდიტის ტრენინგი, რომელიც ერთგვარი მოსამზადებელი ტრენინგია პილოტური პროექტების სათანადოდ და შიდა აუდიტორული საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელებისათვის. ნვე შიდა აუდიტორული შემოწმება დასრულდა 2016 წლის ბოლოს.

მიმდინარე წელს, ასევე, შემუშავდა შიდა აუდიტის საქმინობის შეფასების კრიტერიუმები, კერძოდ, ამ ეტაპზე განისაზღვრა შიდა აუდიტორული საქმიანობის შეფასების შემდეგი 4 კრიტერიუმი: **შიდა აუდიტის სუბიექტების დამოუკიდებლობა, საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა, შიდა აუდიტორთა კვალიფიკაცია და უნარი სამუშაოს შესასრულებლად, შიდა აუდიტორული ანგარიშის ხარისხი** რის საფუძველზეც მოხდა შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის შეფასება და შედეგები აისახა ჰარმონიზაციის ცენტრის წლიურ კონსოლიდირებულ ანგარიშში, რომელიც წელს პირველად, ფინანსთა მინისტრის, ბატონი ნოდარი ხადურის მიერ მიმდინარე წლის 16 მაისს წარედგინა საქართველოს მთავრობას.

შენიშვნა: დასრულებულია

VII - ინფორმაციული ტექნოლოგიები

1. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება

1.1 eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სისტემაში მოქმედი ფუნქციონალის დელეგირება ბიუჯეტებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ჭრილში; ბიუჯეტის ცვლილების პროცესის მოდელირების ფუნქციონალის შემუშავება; კრიზისული ბიუჯეტის მართვისა და კონსოლიდირების ფუნქციონალის შემუშავება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სისტემას დაემატა ბიუჯეტის ბალანსის ავტომატური კონტროლის მექანიზმი და შეიქმნა საკონტროლო სავალიდაციო ანგარიშგებები. სსიპ-ების შესრულებების მოდულს დაემატა ბიუჯეტის გადასახდელების მოდულიდან გეგმების სინქრონიზაციის ფუნქციონალი. შეიქმნა და დაინერგა პირველი ავტომატურად გაშვებადი ე.წ. რეგრეს-ტესტქეისი, რომელიც ფარავს ორგანიზაციული სტრუქტურისა და ასიგნებების დაზუსტების ძირითად პროცესს. ჩატარდა უფლებების ჩატვირთვის პროცედურის ოპტიმიზაცია. სისტემას დაემატა ანგარიშგებების დოკუმენტების Microsoft Excel-ში ფორმულებით გენერირების ფუნქციონალი.

ხაზინის სისტემასთან საინტეგრაციო პროცესებს შეემატა ცვლილების ცნობათა ჯაჭვებისა და კალათების ხაზინიდან გამოწვევის ფუნქციონალი, რაც, ხარჯების შესაბამისი გეგმის ხაზინიდან გამოწვევისას, ბიუჯეტის დაბალანსებულ ცვლილებას უზრუნველყოფს. სისტემაში განხორციელებული სხვადასხვა ქმედების ქრონოლოგიის უკეთ დადგენის მიზნით, განხორციელდა მონაცემთა ბაზის მოდიფიცირება, რამაც გააუმჯობესა ცვლილებების არქივებისა და ისტორიული ჩანაწერების მართვის პროცესი. მრავალი პერიოდის მონაცემების

შემცველი ანალიტიკური ანგარიშგებების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შეიცვალა პერიოდებს შორის კლასიფიკატორების კავშირების დამყარების ფუნქციონალი. მომზადდა კონცეფცია სისტემური ინტერფეისების მოძველებულიდან (Silverlight) ახალ ტექნოლოგიებზე (HTML, AnguladJS) გადასაწერად. მიმდინარეობს სისტემის ორი მთავარი მოდულის (გადასახდელებისა და ადმინისტრირების მოდულები) გადაწერის პროცესი.

ახალ ტექნოლოგიაზე (HTML, AnguladJS) გადაიწერა გადასახდელების მოდულის ფუნქციონალი. სისტემას დაემატა ახალი სტატიკური ანგარიშგების დოკუმენტი. მომზადდა ავტომატური რეგრეს-ტესტირების ახალი სცენარი, რომელიც მოიცავს ჯაჭვებისა და კალათების ფუნქციონალს. შეიცვალა პროგრამების გადანომვრის ლოგიკა და ჯაჭვების სავალიდაციო სქემა.

ჩატარდა ნორმატიული აქტების მოდულის ფუნქციონალის რეფორმა, რის შედეგადაც შეიქმნა ნორმატიული აქტების ცვლილებებისა და ისტორიის მართვის, ასევე, წინა წლის ნაშთების ადმინისტრირების ახალი ფუნქციონალი. რეფორმის ფარგლებში შეიცვალა ხაზინის სისტემასთან საინტეგრაციო ნაწილიც, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ხაზინის სისტემაში გასულ სამუშაო პერიოდებში გადარიცხული თანხების მობრუნებების პროცესის დაკავშირება ნორმატიული აქტის ნაშთების აღრიცხვის პროცესთან..

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შესყიდვების სააგენტოსთან საინტეგრაციო სერვისის ფუნქციონალის გაფართოება (სატენდერო თანხების ასახვა ხაზინის ერთიან ანგარიშზე); ხაზინის მთავარ წიგნში ბუღალტრული გატარებების ინტეგრაცია ხაზინის სისტემის სხვადასხვა მოდულებიდან; ხაზინის ერთიან ანგარიშზე საბიუჯეტო ორგანიზაციების შემოსულობების მართვის მოდულის შეფასება/ანალიტიკა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სისტემის კლიენტის ნაწილში დაემატა ორგანიზაციის შექმნის თარიღის რედაქტირების საშუალება. ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია საკუთარი დაბრუნებული და გაურკვეველი თანხების შესახებ.

მიზნობრივი გრანტის საოპერაციო პროცესი დაყვანილი იყო სტანდარტულ პროცესზე.

ხელშეკრულების ფორმაზე დაემატა მიმღების ანგარიშისა და ბანკის კოდის ველები. შესაძლებელი გახდა შესყიდვების სააგენტოში რეგისტრირებული ხელშეკრულებებისთვის CPV კოდების დამატება. დაემატა შესყიდვების სააგენტოდან ელექტრონული სერვისის მეშვეობით ხელშეკრულების სტატუსის წამოღება და მისი ასახვა ანგარიშგებაში.

შესაძლებელი გახდა მიმდინარე სამუშაო პერიოდის ვალდებულებების დაკავშირება წინა პერიოდის ვალდებულებებთან.

საბიუჯეტო მოთხოვნაში დაემატა მესამე პირის გადახდების განხორციელების საშუალება. არასაბიუჯეტო მოთხოვნის ფორმირების დროს, იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელის და მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი არის ერთი და იგივე, შესაძლებელი გახდა ანგარიშის ნომრის არჩევა ხაზინის ბექ-ოფისში შევსებული სიიდან.

შესაძლებელი გახდა დეპოზიტების ასახვა ორგანიზაციების შესაბამის ქვეკოდებზე.

სისტემას ბექ-ოფისის ნაწილში დაემატა საბიუჯეტო კოდების სიმრავლის ადმინისტრირების და ვალუტების მართვის ფუნქციონალები. ჩაემატა ახალი ოპერაციები „ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება“ და „თანხის გადატანა“. შესაძლებელი გახდა ღონისძიებების ფარგლებში წინა პერიოდის აუთვისებელი თანხების მობრუნების ასახვა ანგარიშებზე. შეიცვალა „სხვა შემოსულობების დაბრუნების“ ოპერაცია. დაემატა ჩარიცხვის ჩანაწერების დაკავშირების ფუნქციონალი.

მულტისავალუტო ანგარიშის ფუნქციონალში ცვლილება შევიდა „გარედან ვალუტაზე მიზნობრივი გრანტი“-ს და „გაურკვევლის დაბრუნება“ ოპერაციებში.

ხაზინის სისტემაში აისახა მიზნობრივი გრანტის დასრულების თარიღი. შესაძლებელი გახდა ერთ ჩარიცხვაზე რამდენიმე მიზნობრივი გრანტის ხელშეკრულების განსაზღვრა, მ. გ. ჩარიცხვის განსაზღვრის დროს კი, დაემატა ხელშეკრულების თანხის კონტროლი.

სისტემას დაემატა წყაროს ვალიდაციის ფუნქცია მობრუნებული თანხებისთვის.

შესაძლებელი გახდა ხაზინის ათნიშნა ანგარიშებზე გადათვლის ფუნქციონალის გაშვება მომხმარებლის მიერ, ანგარიშგებების ავტომატური გენერირება და მათი ადრესატებთან ავტომატური გაგზავნა.

გაფართოვდა მწვანე დერეფანი, მას დაემატა დაფარვის წყაროების და მივლინებების გლობალური პირობები.

შემოსავლების მოდულს დაემატა ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის მომსახურების ქვემოდული და განხორციელდა eDMS და eTreasury სისტემებს შორის ინტეგრაცია.

2016 წელს განხორციელდა სერვისის უზრუნველყოფა საჯარო რეესტრთან, რომლის საშუალებითაც საჯარო რეესტრს ავტომატურად მიაქვს ინფორმაცია ჩარიცხული თანხების შესახებ.

ჩარიცხვების საძიებო სისტემაში, ბანკით შემოსულობებსა და ხარჯების გარდა, შესაძლებელი გახდა შიდა ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის ხილვა და ექსპორტი.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.3 eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სისტემის ფრონტის რეფაქტორინგი და სამუშაო გარემოში გაშვება; ძირითადი თანხის მომსახურების ავტომატიზაცია, ხაზინასთან ახალი საინტეგრაციო სერვისის იმპლემენტაციით; გამოსაშვები ემისიების გეგმის შედგენისა და ანალიზის მოდულის იმპლემენტირება; ეროვნულ ბანკთან ინტეგრაცია სახაზინო ემისიების მონაცემების მისაღებად; ბიუჯეტის შედგენისთვის საჭირო საშინაო ვალის ინფორმაციის მიწოდების ავტომატიზაცია; საგარეო ვალის მოდულის იმპლემენტაციაზე მუშაობის დაწყება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სამუშაო რეჟიმში გაეშვა სისტემის კლიენტის მხარის ახალი ვერსია. სისტემის მოძველებული (Silverlight) ტექნოლოგია შეიცვალა ახლით (AngularJS), რომელიც უფრო მსუბუქი და სწრაფია და საშუალებას აძლევს მომხმარებელს ნებისმიერი ბრაუზერით შევიდეს სისტემაში.

სისტემას დაემატა გეგმიური კალენდრის ანალიტიკური მოდული. მოდული წარმოადგენს მოქნილ იარაღს, რომლის მეშვეობითაც საშინაო ვალის მომხმარებლები შეძლებენ მომავალი წლ(ებ)ის ემისიების გამოშვების ნებისმიერი სცენარის დაგეგმვას და მიღებული შედეგების (ხარჯები, წმინდა ზრდა) მონიტორინგს.

დასრულდა იმპლემენტაცია და რეალურ გარემოში გაშვებულია პროექტების დეტალური ინფორმაციის მოდული. მოდული მოიცავს სრულ, არაფინანსურ ინფორმაციას პროექტების შესახებ (რეესტრი - ყველა სახის პროექტთან დაკავშირებული შეთანხმება, დეტალები, ბიუჯეტის თანადაფინანსების თანხები, განმახორციელებლები, ხარჯვითი კატეგორიები). შემუშავდა პროექტების დეტალურ ინფორმაციასთან დაკავშირებული, ყველა კლასიფიკატორის სამართავი, კონფიგურაციის ქვე-მოდულები. მოხდა პროექტებზე არსებული ყველა მონაცემის მიგრირება ძველი eDMS სისტემიდან ახალში.

პროექტების ინფორმაციის მართვის მოდულს ასევე დაემატა მკაცრი ლოგირების ფუნქციონალი, რომლის მეშვეობითაც უფლებამოსილ მომხმარებელს შეუძლია, ნებისმიერ პროექტზე, იხილოს სრული ცვლილებების ისტორია დარეგისტრირების დღიდან. ცვლილებების ისტორია იოლად გასარჩევი ფორმატით ასახავს ყველა სახის ცვლილებას თითოეული ქვე-მოდულის და ველის დონეზე. თითოეულ ოპერაციას თან ახლავს ცვლილების განმახორციელებელი და ცვლილების თარიღი.

დასრულდა იმპლემენტაცია პროექტების ჩამორიცხვის და ტრანშების ინფორმაციის მართვის მოდულებზე. მიმდინარეობს ძველი eDMS სისტემიდან არსებული ინფორმაციის მიგრაცია და ლოგირების ფუნქციონალის შემუშავება, რის შემდეგაც ხსენებული მოდულები გაეშვება რეალურ გარემოში.

პროექტების მოდულს ასევე დაემატა მონაცემებზე მიბმული უფლებების მართვის ფუნქციონალი, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელი იქნება ამა თუ იმ მოქმედების განხორციელების უფლებები გადანაწილდეს კონკრეტული მომხმარებლებისთვის კონკრეტულ პროექტებზე.

შემუშავებულია და დანერგვის პროცესშია საშინაო ვალის ნაწილის სახაზინო ემისიების და მომსახურების გრაფიკის პროცესების 2 რეგრეს ტესტ-სცენარი და სახელმწიფო ობლიგაციების მოდულის 1 რეგრეს ტესტ-სცენარი. შემუშავების პროცესშია წლიური კალენდრის და გეგმიური კალენდრის მოდულების ტესტ-სცენარები.

სისტემის დიზაინი განახლდა FAS-ის სამსახურის პროდუქტების ზოგადი დიზაინის გათვალისწინებით. დიზაინის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული მარკაპის სამუშაოები დასრულდა და სისტემის ახალი დიზაინი გაშვებულია პროდაქშენში.

განხორციელდა სისტემის კლიენტის ნაწილის კოდის სრული რეფაქტორინგი.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.4 eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: eHRMS სისტემის საჯარო სამსახურის ბიუროს შემუშავებულ ახალ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა; eHRMS სისტემის შემდგომი ინტეგრირება ხაზინის ერთიან სისტემასთან; დინამიური ანგარიშგებების კონსტრუქტორის ფუნაციონალის განვითარება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გაუმჯობესდა და დაიხვეწა სისტემის ფუნქციონალი ასევე განხორციელდა სისტემის რეფაქტორინგი. განახლდა კლასიფიკატორების მართვის სქემა და თანამშრომლის პირადი ბარათი. ასევე სისტემას დაემატა ახალი ფუნქციონალები და ანგარიშგებები.

განხორციელდა ინტეგრაცია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემასთან. ადამიანური რესურების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში რეალიზებულ იქნა უწყისის მომზადების ფუნქციონალი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სახელფასო უწყისის ფაილის გენერირება, სადაც თავს იყრის თანამშრომელთა ანაზღაურებების მონაცემები ეკონომიკური კოდების მიხედვით. სახელფასო უწყისი არის ორი ტიპის: უწყისი საშემოსავლოს ავტომატური გამოთვლით, სადაც აისახება თანამშრომელთა ანაზღაურებების თანხობრივი მაჩვენებლები საშემოსავლოს დაკავების გარეშე; უწყისი საშემოსავლოს მითითებით, სადაც აისახება თანამშრომელთა ანაზღაურებები სამუშაო დღეების რაოდენობით, საშემოსავლო და ხელზე გასაცემი თანხების მითითებით ცალ-ცალკე. შესაბამისად, სურვილის შემთხვევაში კადრების თანამშრომელი eHRMS სისტემაში დააგენერირებს სახელფასო უწყისის ფაილს რომელსაც მიაწვდის ამავე ორგანიზაციის ბუღალტერს, რომელიც თავის მხრივ გააგრძლებს თანხების დარიცხვის პროცესს სახაზინო სისტემაში.

სისტემაში განახლდა შვებულების, მივლინების და სამუშაო აღწერილობის ფუნქციონალები, სტრუქტურაში დაემატა ორგანიზაციების ძიებისა და ასევე სიახლეების მართვის ფუქციონალები.

მიმდინარეობს სისტემის მოძველებული (Silverlight) ტექნოლოგიის ცვლილება ახლით (AngularJS). აღნიშული ტექნოლოგია უფრო სწრაფი და მოქნილია, რაც მომხმარებლისთვის გაამარტივებს სისტემაში მუშაობას.

სრულდება სისტემის ლოკალიზაციის ფუნქციონალის იმპლემენტაციის პროცესი. აღნიშნული ფუნქციონალით შესაძლებელი ხდება სისტემის ინტერფეისზე ენის ცვლილება. ამ ეტაპზე სისტემა უკვე ხელმისაწვდომი იქნება ინგლისურ ენაზე.

აგრეთვე, დაწყებულია eHRMS სისტემის სხვა ადამიანსური რესურსების მართვის სისტემებთან ინტეგრაციაზე მუშაობა და სისტემაში ახალი მოდულის Self-Service რეალიზების ანალიტიკის პროცესი, რაც 2017 წლის სამუშაო გეგმის ნაწილია.

სისტემა დანერგილია 295-ზე მეტ სახელმწიფო ორგანიზაციაში.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.5 ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ინფრასტრუქტურის გაძლიერება - ბლეიდ სერვერული სიმძლავრის და მონაცემთა შენახვის სისტემების მოცულობის გაზრდა დატვირთვების შესაბამისად; ინფორმაციული აქტივების რისკების მართვის პოლიტიკის დანერგვა; ოპერაციული სისტემების და პროგრამული უზრუნველყოფის მონიტორინგის

და მართვის ავტომატიზაცია, სერვისის დონის მართვის პროცესის დანერგვა; Application Centered Infrastructure (ACI) დანერგვა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დაინერგა ITIL სტანდარტის ცვლილებების მართვის სისტემა მაიკროსოფტის სისტემ-ცენტრის ტექნიკურ პლატფორმაზე.

განხორციელდა საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) სერვერების მიგრაცია დატვირთვის ბალანსერზე, რაც, როგორც დატვირთვის ბალანსირების, ისე სისტემის გამორთვის გარეშე ახალი სერვერების დამატების შესაძლებლობას იძლევა.

გაძლიერებული იქნა ინფორმაციული უსაფრთხოება ვებაპლიკაციებზე არასანქცირებული შეღწევისგან დაცვის მხრივ. შესწავლილი და აღმოფხვრილი იქნა არსებული ვებაპლიკაციების სისუსტეები და დაინსტალირდა მათი დამცავი ფილტრი გარე ინტერფეისებზე.

განხორციელდა მონაცემთა შენახვის სისტემის მოცულობის და სიმძლავრის გაზრდა სწრაფი დისკური მასივის დამატების გზით. დაინერგა ხაზინისა და ბიუჯეტის მონაცემთა ბაზის ოპერირების ახალი ტექნოლოგია Always On, რაც საშუალებას იძლევა რეპორტების გენერაციისას ტრანზაქციული ბაზიდან მოიხსნას დატვირთვა. დაინერგა მოთხოვნებისა და ცვლილებების მართვის ახალი სისტემა.

შენიშვნა: მიმდინარეობს

VIII - რესურსების მართვა

1. სტრატეგიებთან დაკავშირებული დოკუმენტების შემუშავება

1.1 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ივნისის #1355 განკარგულების საფუძველზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო/მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: შესაბამისი ცვლილებების პროეტის მომზადება და ასახვა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ში.

პერიოდი: იანვარი-აპრილი

პროგრესი: მომზადებულია პროექტი შესაბამისი ცვლილებების შესატანად.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-დან გამომდინარე დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: დოკუმენტების/სამართლებრივი აქტების შემუშავება და შესაბამისი ფორმით წარდგენა უფლებამოსილი ორგანოსათვის; დეპოზიტების დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით მიღებული შენიშვნებისა და წინადადებების ასახვა კანონპროექტში.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ამ ეტაპზე საბოლოო სახით ჩამოყალიბებულია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ასამოქმედებლად საჭირო ყველა დოკუმენტი (მათ შორის გამომდინარე კანონპროექტები).

შენიშვნა: ამ ეტაპზე მუშაობა დასრულებულია

1.3 კომპეტენციის ფარგლებში ქვეყანაში საპენსიო რეფორმის გატარების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება (მათ შორის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი/შესაბამისი უწყებები

შესრულების მაჩვენებელი: საპენსიო სისტემის ამოქმედებისთვის საჭირო შემუშავებული დოკუმენტები.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საპენსიო რეფორმის კონცეფცია დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ. შემუშავებულია „კერძო პენსიების შესახებ“ კანონის პროექტის პირველადი ვარიანტი.

შენიშვნა: მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტის სრულყოფაზე.

1.4 კომპეტენციის ფარგლებში ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი/შესაბამისი უწყებები.

შესრულების მაჩვენებელი: კაპიტალის ბაზრის რეფორმირებისთვის საჭირო შემუშავებული დოკუმენტები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა კაპიტალის ბაზრის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტზე.

შენიშვნა: ამჟამად სამუშაო ჯგუფში მიმდინარეობს დოკუმენტების განხილვა და შეთანხმება.

1.5 კომპეტენციის ფარგლებში საჯარო-კერძო პარტნიორობის შესახებ, შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს, პოლიტიკის დოკუმენტსა და კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი/შესაბამისი უწყებები

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტი და კანონპროექტი.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცდა. მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის კანონპროექტზე და კანონქვემდებარე ნორმატიულ ატებზე.

შენიშვნა: მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტზე

1.6 კომპეტენციის ფარგლებში ქვეყანაში რეგულირების ზემოქმედების შეფასების სისტემის დასანერგად შესაბამის ღონისძიებებში მონაწილეობა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი/შესაბამისი უწყებები

შესრულების მაჩვენებელი: რეგულირების ზემოქმედების შეფასების სისტემის დასანერგად შემუშავებული სამართლებრივი ჩარჩო.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა რეგულირების ზემოქმედების სისტემის დასანერგად, მათ შორის იმ საკანონმდებლო აქტების განსაზღვრაზე, რომლებისთვისაც სავალდებულო იქნება ზეგავლენის შესწავლა.

შენიშვნა: მიმდინარეობს სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა.

1.7 კომპეტენციის ფარგლებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი/შესაბამისი უწყებები

შესრულების მაჩვენებელი: მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის შემუშავებული სტრატეგია.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა და მთავრობის მიერ დამტკიცდა „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია.

შენიშვნა: სტრატეგია შემუშავებულია. პერიოდულად მიმდინარეობს მუშაობა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ატივობების, შესრულების ანგარიშების წარდგენაზე

1.8 კომპეტენციის ფარგლებში Doing Business რეიტინგების ასამაღლებლად შეაბამისი რეკომენდაციების გაწევა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი/შესაბამისი უწყებები

შესრულების მაჩვენებელი: სხვადასხვა უწყებებისთვის გაწეული კონკრეტული რეკომენდაციები.

პერიოდი: იანვარ-დეკემბერი

პროგრესი: შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები და შესაბამის უწყებებს მიეწოდათ Doing Business რეიტინგების ასამაღლებლად კერძოდ: გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასა და მცირე აქციონერთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ კომპონენტებზე.

შენიშვნა: დასრულებულია

2. ფინანსთა სამინისტროს აკადემია

2.1 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საფინანსო თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: გადამზადებული თანამშრომლები.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამხრეთ კავკასიის ოფისთან თანამშრომლობით, საქართველოს რეგიონების ააიპ-ების ფინანსური მიმართულების 191 თანამშრომლისთვის განხორციელდა ტრენინგი „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა“.

საქართველოს სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო სექტორში დასაქმებული 45 წარმომადგენლისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება საბიუჯეტო ორგანიზაციებში“.

შენიშვნა: დასრულებულია

2.2 2017 წლის ელექტრონული ბიუჯეტის დაგეგმვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: გადამზადებული თანამშრომლები.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო სექტორში დასაქმებული 25 წარმომადგენლისთვის განხორციელდა სამუშაო შეხვედრა ელექტრონული ბიუჯეტის დაგეგმვის თემაზე

შენიშვნა: დასრულებულია

2.3 თანამშრომლობა ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსთან სახელმწიფო ფინანსური მართვის გაუმჯობესების მიზნით ტრენინგებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზებაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროს ექსპერტების მიერ განხორციელებული ტრენინგები და კონსულტაციები, ფინანსთა სამინისტროს სისტემის გადამზადებული თანამშრომლები.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2016 წლის მარტში ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროს ხელშეწყობით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ჩართულობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა საქართველოში სხვადასხვა სამინისტროს საფინანსო და ეკონომიკური დეპარტამენტების თანამშრომლებთან, რომელიც მიზნად ისახავდა მხარჯავი დაწესებულების როლის გაძლიერებას საბიუჯეტო პროცესში. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა 34 ადამიანი.

პროფესიული უნარების განვითარების მიზნით განხორციელდა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „ფინანსური მენეჯმენტი და კონტროლი“, საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 20 წარმომადგენლისთვის.

პროფესიული უნარების განვითარების მიზნით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ცოდნის და გამოცდილების გაზიარება ვალის მართვის საკითხებში“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის, ასევე, მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტის და სახაზინო სამსახურის თანამშრომლებისათვის (სულ 15 მსმენელი).

დამატებით, ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებმა განახორციელეს სამუშაო შეხვედრა თემაზე: „ფინანსური მენეჯმენტი და კონტროლი“, საქართველოს რვა პილოტური სამინისტროს ფინანსების განმკარგავი ერთეულების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებისთვის (20 მსმენელი).

შენიშვნა: დასრულებულია

3. ელექტრონული აუქციონის - eauction.ge - სისტემის მოდერნიზაცია და ახალი პარტნიორების მოზიდვა

3.1 eauction.ge-ს სიტემის დახვეწა/მოდერნიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: მომხარებელთა მოსაზრებების გათვალისწინებით ელექტრონული პორტალის მოდერნიზაცია;

ვიდეო კონსულტაციის და ვიდეო სახელმძღვანელოს სერვისის დამატება მომხმარებელთათვის;

ელექტრონული საბანკო გარანტიის გამოყენების ფუნქციონალის დამატება კერძო იურიდიული პირებისათვის.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ვებგვერდზე გაუთვალისწინებელი შემთხვევების (მაგ: კიბერშეტევა) დროს გადახდილი თანხების გადარიცხვის პროცესის მართვის მიზნით გატარდა შესაბამისი სამუშაოები; სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის ვებგვერდზე eauction.ge დაემატა ახალი ფუნქცია, რომელიც ითვალისწინებს რეალიზებული მერქნული რესურსის მყიდველზე გადაცემის შემდეგ შესაბამისი ორგანოს მიერ ქონების მონიტორინგს, პროცესშია სავაჭრო სამრეწველო პალატასთან ელექტრონული სერვისების ინტეგრირება, ფართოვდება საგადახდო სისტემა, რომელიც მოიცავს სატელეფონო ბალანსის მეშვეობით მომსახურების თანხების გადახდას და ასევე, მუშავდება ლიბერთი ბანკის სწრაფი ჩარიცხვის აპარატების მეშვეობით ვებგვერდის მომსახურების თანხების, საგარანტიო და დარჩენილი ღირებულებების გადახდის მექანიზმი. დაიხვეწა პორტალზე არსებული აუქციონების საძიებო სისტემა, რომლითაც მომხმარებელს მნიშვნელოვნად გაუადვილდა ვებგვერდზე ნავიგაცია; ამოქმედდა შეწყვეტილი აუქციონების შეტყობინებების სისტემა (Email, SMS); შექმნილია ვებგვერდის eAuction.ge მობილური აპლიკაცია და მიმდინარეობს მისი ტესტირება; კერძო იურიდიული პირების მიერ გამოცხადებულ აუქციონებს დაემატა ელექტრონული საბანკო გარანტიის გამოყენების ფუნქციონალი; გაუმჯობესდა ლოტების ადმინისტრირების ფუნქციონალი; ამოქმედდა მომხმარებლისათვის მის მიერ დათვალიერებული ლოტების კატეგორიიდან ანალოგიური ლოტების შეთავაზების ჩანართი, სარეკლამო ბანერების განსათავსებლად ახალი სივრცე, დაიხვეწა ვებგვერდის ადმინისტრატორებისათვის რეპორტინგის სისტემა, დასრულდა ფასდაკლებული ლოტებისათვის სპეციალური აღმნიშვნელი ჩანართის მიბმა, გადახდების ღილაკების დამატება ლოტის გვერდზე, დაემატა რეზიდენტი იურიდიული პირის ვებგვერდზე ავტორიზაციის დროს მონაცემების გადამოწმების, შესაბამისი სტატუსის გამოტანისა და ახალი დასახელების პარალელურად ვებგვერდზე ცვლილების შესაძლებლობა; დაემატა არასწორად ჩარიცხულ ან/და გაუაქტიურებელ თანხებზე მომხმარებლებისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინების დაგზავნის ფუნქციონალი, ასევე აღნიშნული თანხების ზედმეტად გააქტიურების თავიდან აცილების მიზნით ჩარიცხულ თანხებს სისტემურად ენიჭება უნიკალური კოდი; ასევე, დასრულდა მუშაობა ვებგვერდით სარგებლობის ახალი სახელმძღვანელოებისა და სტატისტიკური მონაცემების ვებგვერდზე განთავსებაზე, მიმდინარეობს მუშაობა ვიდეო ინსტრუქციისა და ვიდეო კონსულტაციის თაობაზე.

შენიშვნა: მიმდინარეობს

3.2 eauction.ge ახალი პარტნიორების მოზიდვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ქონების განკარგვის ეფექტურობა; ადგილობრივი თვითმმართველობების მოზიდვა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ფიზიკური და იურიდიული პირების მოზიდვის მიზნით, ელექტრონული აუქციონების ვებგვერდს eAuction.ge დაემატა ქონების რეალიზების განახლებული ფორმა ინტერნეტმაღაზიის (e-მაღაზია) სახით; ვებგვერდის მომხმარებელთა და პარტნიორთა რიცხვის გაზრდის მიზნით ხორციელდება ქმედებები სხვადასხვა მიმართულებით, მუდმივად მიმდინარეობს ვებგვერდის პოტენციურ მომხმარებლებთან email მარკეტინგი, რომლის საშუალებით ისინი იღებენ ინფორმაციას პორტალზე განთავსებული ქონებების შესახებ, პერმანენტულ რეჟიმში მიმდინარეობს ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ღონისძიებათა ხელშეწყობა (ინტერნეტ და საჯარო აუქციონების გამოცხადება, განცხადებების მონიტორინგი, მომხმარებელთათვის ინფორმაციის მიწოდება ცხელი ხაზისა და ონლაინ კონსულტაციის მეშვეობით), ასევე, სოციალურ ქსელებში ყოველდღიურად მიმდინარეობს სააგენტოს სერვისების (აუქციონი, e-მაღაზია) პოპულარიზაცია, მომზადდა პრეზენტაცია საჯარო სტრუქტურებთან ქონების ეფექტური განკარგვის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე, ასევე, სააგენტოს სერვისების შესახებ პრეზენტაცია და განხორციელდა ფიზიკური და კერძო იურიდიული პირებისათვის მათი გაცნობა-შეთავაზება. იგეგმება email მარკეტინგის გაფართოების პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ახალი პარტნიორების რიცხვის გაზრდას.

შენიშვნა: მიმდინარეობს

4. ძვირფასი ქვების, ლითონებისა და მათი ნაწარმის სახემწიფო ზედამხედველობა

4.1 ძვირფასი ქვების, ლითონებისა და მათი ნაწამის სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: ზედამხედველობის სისტემის შექმნის ძირითადი ამოცანების შესრულება; სამართლებრივი საკითხების დარეგულირება; თანამშრომლობა ევროპულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მათ შორის დონორებთან); თანამშრომლობა ევროპის სასინჯ სამსახურებთან; ინფრასტრუქტურის განვითარება; საკომუნიკაციო გეგმის მომზადება და დამტკიცება.

პერიოდი: 2016 – 2019

პროგრესი: მიმდინარეობს სამუშაოები სამართლებრივ საკითხებზე, კერძოდ კანონპროექტზე და ნორმატიულ აქტებზე. ასევე, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კუთხით ხორციელდება ღონისძიებები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ჭრილში - მომზადდა ბაზრის რისკების შეფასების დოკუმენტი.

შენიშვნა: მიმდინარეობს

5. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

5.1 მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: მომსახურების ხარისხის მართვა; თანამშრომელთა გადამზადება (ხარისხის მართვის ტრენინგი).

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: პორტალ eAuction.ge-ის მომხმარებელთათვის ელექტრონული სერვისებით სარგებლობის გამარტივების მიზნით, განახლდა ვებგვერდით სარგებლობის სახელმძღვანელოები და განთავსდა შესაბამის ველებზე, ვებგვერდის eAuction.ge-ს შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების გამარტივების მიზნით, მომზადდა ვებგვერდის ახალი ჩანართი ,,სტატისტიკის გვერდი", სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიპოვოს სასურველი სტატისტიკური ინფორმაცია ვებგვერდის შესახებ; დასრულდა ორგანიზაცია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC), ესტონური „პრაქსის პოლიტიკის სწავლების ცენტრის" თანამშრომლობითა და ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით მიმდინარე პროექტი - „საქართველოში არსებული საჯარო სერვისების ხარისხისა და მომხმარებელზე ორიენტირებულობის გაუმჯობესება", რომელშიც სააგენტოს თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. აღნიშნული ითვალისწინებდა დიზაინის მართვის ძირითადი პრინციპებისა და მექანიზმების საშუალებით, საქართველოში არსებული სახელმწიფო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებასა და მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფას, პროექტის ფარგლებში განხორციელდა მომხმარებელთა მცირემასშტაბიანი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა მობილური აპლიკაციის მომხმარებელთა მოთხოვნებისა და შენიშვნების გათვალისწინებას მობილური აპლიკაციის სატესტო ვერსიაში. განხორციელების პროცესშია სერვისების არეალის გაფართოების პროექტი (რეგიონებში საზოგადოებრივი ცენტრები). დასრულდა თანამშრომელთა ტრენინგები მომსახურების ხარისხის მართვის კუთხით და მიმდინარეობს შემდგომი ეტაპის - სააგენტოში მიმდინარე სამუშაო პროცესებისა და პროცედურების გაწერა, ასევე, შესაბამისმა თანამშრომლებმა გაიარეს სხვადასხვა გრაფიკული პროგრამის შესწავლის კუთხით გადამზადება.

შენიშვნა: მიმდინარეობს